



ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

17 თებერვალი, 2011 წ.

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე ლილი ტყემალაძე
მოსამართლეები თამარ ზამბახიძე
ქეთევან კუჭავა

აპელანტი – სედა გრიგორიანი

მოწინააღმდეგე მხარე – ირაკლი პაჭკორია

დავის საგანი – სახლის ნაწილზე მესაკუთრედ ცნობა, ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება

სააპელაციო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გააუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების განხორციელების საკითხი და

ბ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით სედა დაშტოიანის სარჩელი მოპასუხე დარეჯან მალასიძის მიმართ სახლის ნაწილზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დარეჯან მალასიძის შეგებებული სარჩელი და სედა დაშტოიანი თანმხლებ პირებთან ერთად გადმოსახლებულ იქნა ქ. თბილისში, ამაღლების შეს. №3-ში მდებარე ბინიდან.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სედა დაშტოიანმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის საოქმო განჩინებით აპელანტ სედა გრიგორიანის წარმომადგენლის დავით კურტანიძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სამოქალაქო საქმეში №2ბ/11-06 მოწინააღმდეგე მხარის – დარეჯან მლასიძის უფლებამონაცვლებად ჩაბმულ იქნენ მათა ჯიბუტი და ირაკლი პაჭკორია. აღნიშნულ განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მათა ჯიბუტმა, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 დეკემბრის საოქმო განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება სედა გრიგორიანის სააპელაციო საჩივარზე და საქმე გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს კერძო საჩივრის განხილვის მიზნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 29 მარტის განჩინებით მათა ჯიბუტის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის განჩინება დარეჯან მლასიძის უფლებამონაცვლედ მათა ჯიბუტის ცნობის ნაწილში, დანარჩენ ნაწილში განჩინება დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის განჩინებით საქმის წარმოება განახლდა სედა გრიგორიანის სააპელაციო საჩივარზე.

სააპელაციო პალატის მიერ დანიშნული იქნა სხდომები სააპელაციო საჩივრის განხილვის მიზნით, თუმცა საქმის არსებითი განხილვა ვერ ხორციელდება, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარეს - ირაკლი პაჭკორიას ვერ ბარდება სასამართლო უწყება სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე.

სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა საქმის განხილვისა და გაჭიანურების თავიდან აცილების გარემოებებზე, გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული დებულებები და მიიჩნევს, რომ ვინაიდან მხარის ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, მიზანშეწონილია – ირაკლი პაჭკორიას საქმის განხილვის დრო და ადგილი ეცნობოს საჯარო შეტყობინების გზით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივად

გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული დებულებები, მიიჩნია, რომ ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარის ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, მიზანშეწონილია ირაკლი პაჭკორიას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 02 მარტის 16:15 საათის სასამართლო სხდომის თარიღი ეცნობოს ვებგვერდზე განთავსებით გზით. ამასთან, სასამართლო შეტყობინება საჯაროდ განთავსდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე (www.tbappeal.court.ge).

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე, 285-ე, 372-ე მუხლებით და

დ ა ა დ ბ ი ნ ა:

1. სამოქალაქო საქმეზე №2ბ/11-06 სააპელაციო საჩივრის ავტორი – სედა გრიგორიანი, მოწინააღმდეგე მხარე – ირაკლი პაჭკორია, დავის საგანი – სახლის ნაწილზე მესაკუთრედ ცნობა (საჩივლში), ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა (შეგებებულ სარჩელში), ირაკლი პაჭკორიას სასამართლო სხდომაზე მოწვევა განხორციელდეს საჯარო შეტყობინების გზით. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ განთავსდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე (www.tbappeal.court.ge).

2. სხდომა დანიშნულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის 7ა) 2011 წლის 02 მარტი, 16:15 საათზე, სხდომის დარბაზი №7.

3. სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების ვებგვერდზე განთავსებიდან მე-7 დღეს.

4. ირაკლი პაჭკორია გაფრთხილებულ იქნეს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის დებულებათა გათვალისწინებით.

თავმჯდომარე

ლილი ტყემალაძე

მოსამართლეები

თამარ ზამბახიძე

ქეთევან კუჭავა

